№36
სექტემბერი, 2016

112-ის დროთა

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი, მარიამ ჯმუხაძე, მარიამ ნოზაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

01 „112"-ს პონგოს პოლიტიკურ ლიდერთა დელეგაცია ეწვია 83.4

02 გაზეთ „ასავალ-დასავალში" დაბეჭდილი სოფიო კავთელაძის ინტერვიუ 83.5-6

03 „112"-ის თანამშრომლების ინტერვიუ გაზეთ „კვირის პალიტრაში" 83.7-9

04-05 „112"-ის თანამშრომლების პროფესიული განვითარება 83.10-11

06 სამხედრო ძალები ლინიაში დაჭრილ ჯარისკაცს არ ტოვებს 83.13

07 მარტოხელა მოხუცი და თალითი მომვლელი 83.14

08 პოლიციელი ძიძები 83.15

09 „ლაქი" და გადარჩენილი გოგონა 83.16

10 პაწაწინა საგზაო ნიშნები ვილნიუსის ყველაზე პატარა მაცხოვრებლებისათვის 83.18

11 რობოტი მაშველები..... .... 83.19

01

„112"-ს კონგოს პოლიტიკურ ლიდერთა დელეგაცია ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ლიდერთა დელეგაცია ეწვია, რომელსაც პრეზიდენტობის კანდიდატი ქრისტიან მალანგა ხელმძღვანელობდა.

ვიზიტის მიზანი საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და დემოკრატიზაციის პროცესების გაცნობა იყო.

დელეგაციის წევრების განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოში პოლიციისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული რეფორმები წარმოადგენდა. ამ მიზნით, დელეგაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, შსს-ს მომსახურების სააგენტოსა და „112"-ს ეწვია.

კონგოელი სტუმრები შსს-ს აკადემიის სასწავლო პროცესს, ასევე, მომსახურების საagენტოსა და მეხანძრე-მაშველების მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ. დელეგაციის წევრებმა „112"-ში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. სპეციალურად მათთვის რამდენიმე პრეზენტაციაც მოეწყო, რომელიც შსს-ს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების საქმიანობას ასახავდა.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ლიდერთა ვიზიტი საქართველოში ბრიტანული ორგანიზაცია „Enterprise and Parliament Dialogue International"-ის ინიციატივით და საქართველოს ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა.

02

გაზეთ „ასავალ-დასავალში" დაბეჭდილი სოფიო ჯავთელაძის ინტერვიუ



არის შემთხვევები, როცა სასწრაფოს იძახებენ, მაგრამ გვაფრთხილებენ, ჯერ მოწესრიგებულები არ ვართ და უცბად ნუ წამოხვალთო!

სოფიო კავთელაძე

„112" ის გამონაკლისი სამსახურია, სადაც თანხის გადარიცხვა ნამდვილად არ უნდა დაგენანოთ - თქვენ მიერ გაღებული სიკეთე თქვენვე გიბრუნდებათ. „112"-ს უკავშირდება ყველა, ვინც სახლში ხვლიკს აღმოაჩენს, ვინც „შეღონებას" იგრძნობს, ვისაც დრო აინტერესებს და ისინიც, ვისაც სუიციდის მცდელობა აქვს. როგორ გადაარჩინა „112"-ის ოპერატორმა 24 წლის გოგონა თვითმკვლელობას, რა უნდა ვასწავლოთ ბავშვებს და რატომ არ უნდა დავაკავოთ ოპერატორი ტყუილუბრალოდ? - გვესაუბრება „112"-ის ცვლის უფროსი სოფიო კავთელაძე:

- დღეში დაახლოებით 20 000 ზარი შემოდის. თქვენ რომ სუიციდის ფაქტი ახსენეთ, იმ დღეს დარბაზში ვმორიგეობდი და ამ ზართან დაკავშირებით ყველა ნიუანსი მახსოვს. ზუსტად ერთი თვის წინათ ახალგაზრდა ქალმა ჩვენს ოპერატორს ირინა მესაბლიშვილს დაურეკა. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქე სრულიად მშვიდად ლაპარაკობდა, ოპერატორმა ხმაში რაღაც ისეთი შეამჩნია, რომ უყურადღებოდ არ დატოვა და ბოლომდე მიჰყვა. გოგონამ პირდაპირ იკითხა - 100 საძილე აბი, რომ დალიოს ადამიანმა რა მოუვაო? ხმის „წაკითხვა" შეგვიძლია, მაგრამ ვიმეორებ, კითხვა აბსოლიტურად მშვიდად იყო დასმული. ოპერატორმა იკითხა - დალია ვინმემ? მან უპასუხა - არა, მხოლოდ მაინტერესებს, რა მოუვაო და ტელეფონი გათიშა.

საერთოდ, მედიკამენტებთან დაკავშირებით ხშირად გვისვამენ შეკითხვებს, მაგრამ 100 საძილე აბი, სახუმარო საქმე ნამდვილად არაა. ამიტომ ოპერატორმა შემოწმების მიზნით ზარის ავტორს დაურეკა - დახმარება ხომ არ გჭირდებათო? რაზეც კვლავ მშვიდი პასუხი მიიღო, ყველაფერი წესრიგშია, უბრალოდ ვიკითხე და ნუ მაწუხებთო.

- როცა ტელეფონის ნომერი ფიქსირდება, თქვენს სამსახურს შეუძლია ამის მიხედვით მოქალაქის ადგილმდებარეობის განსაზღვრა?

- „112"-ში რა მისამართიდან შემოდის ზარი ამ ეტაპზე არ ფიქსირდება. მოკლედ, ოპერატორმა რამდენჯერმა სცადა გოგონასთან დაკავშირება და მისამართის გაგება, თუმცა ამაოდ. ის ტელეფონს დარეკვისთანავე თიშავდა. ოპერატორი მიხვდა, რომ შესაძლოა, მისი ეჭვი გამართლებულიყო და წამებიც კი გადამწყვეტი ყოფილიყო, ამიტომ ბაზაში სასწრაფოდ მოძებნა აღნიშნული ნომრიდან მანამდე განხორციელებული ზარი, ჩაინიშნა მითითებული მისამართი და ადგილზე დაუყოვნებლივ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გაგზავნა. ექიმებს 24 წლის გოგონა უგონოდ დახვდათ, მას მართლაც 100 საძილე აბი ჰქონდა დალეული და რომ არა ჩვენი ოპერატორის მიხვედრილობა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებდა.

არ დამავიწყდება შარშანდელი შემთხვევა, როცა პატარა ლექსო ბოჟაძემ, დარე-

კა და გვითხრა, რომ დედა ყავდა ცუდად. მისი ხმა დღესაც მახსოვს! ბავშვები სათამაშოდ, ხშირად რეკავენ, მაგრამ ლექსოს ხმაში ისეთი ემოცია ისმოდა, ისეთი ტკივილი, ვერ აგიწერთ. გვითხრა - დედა საწოლიდან გადმოვარდა, პირიდან ქაფი გადმოსდის და ცუდად არისო. ოპერატორმა თავი დაიზღვია და მაინც ფრთხილად ჰკითხა - კი წამოვალთ, მაგრამ ხომ არ თამაშობო? ბავშვი შეგვეხვეწა: არა დედა მართლა მიკვდება და მოდითო. ამის შემდეგ უკვე მისამართის დაზუსტება დავიწყეთ. პატარა ლექსომ იმდენად კარგად აგვიწერა სად ცხოვრობდა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა ეზოში საიდან უნდა შესულიყო, ისე დეტალურად აგვიხსნა ყველა ნიუანსი, გაოცებული დავრჩით! კიდევ გვითხრა, რომ კარს ვერ გაგვიღებდა, რადგანაც საკეტს ვერ სწვდებოდა და შემოგვთავაზა, რომ მაშველებს გასალებს ფანჯრიდან გადაუგდებდა! ვიმეორებ - ბავშვი ისე გვეხმარებოდა, რომ ბევრს მოზრდილს შეშურდებოდა. თან არ დაგავიწყდეთ, პარალელურად ცუდად მყოფ დედას ეკონტაქტებოდა და ამშვიდებდა. დედამისი გადარჩა და პაწია ლექსო დაჯილდოვდა, როგორც საუკეთესო მოქალაქე.

- გასაგებია, რომ თქვენთან გადაუდებელი დახმარების საჭიროების დროს რეკავენ, მაგრამ უცნაური ზარებიც ხომ არის?

- როგორ არა: რეკავენ, როცა საათის გაგება ან პიცის სახლში მიტანა სურთ! საუბარში ვახსენე და მართლაც ხშირია, როცა ავადმყოფის სიმპტომებსაც გვიხსნიან და ტელეფონით კონსულტაციას ითხოვენ. არის შემთხვევები, როცა სასწრაფოს იძახებენ, მაგრამ გვაფრთხილებენ, ჯერ მოწესრიგებულები არ ვართ და უცბად ნუ წამოხვალთო.

- თმის დავარცხნას აპირებენ თუ დახვევას?

- არ ვიცი! მაგრამ ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობას რომ სახლში საათი არ აქვს, ფაქტია! არცთუ იშვიათად, როცა დროს გვეკითხებიან და ვპასუხობთ, რომ, მაგალითად, 12 საათია, შემხვედრი კითხვაა - დღის თუ ღამის? ხშირად სიმპტომებს შემდეგი ფრაზებით აგვიწერენ: „გულის პრანჭვა მაქვს", „გამომტეხავს", „ბავშვი ღონდება".

- ეგ რას ნიშნავს, რამ დააღონა?

- ანუ გული უხდება ცუდად. ოპერატორებს მსგავსი სიტყვები უკვე ათვისებული აქვთ, რადგან ანამნეზი ყოველთვის გვჭირდება, უნდა ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე. ერთმა მოქალაქემ დაგვირეკა და კატეგორიულად გვითხრა, ამერიკულმა კრაზანამ მიკბინა და ტეხიარობა მაქვსო.

- ესეც გულის აჩქარებას ნიშნავს?

- ტეხიარობა სახსრებში ტეხას ნიშნავს - პრაქტიკა ყველაფერს გვასწავლის! ერთ ამბავსაც გავიხსენებ: ოპერატორს ზარი შემოუვიდა, ქალბატონმა დათრგუნვილი ხმით უამბო, რომ მისი შვილები მამას ჰყავდა წაყვანილი და მათთან ურთიერთობის საშუალებას არ აძლევდა. ქალს ბავშვები ენატრებოდა და სასოწარკვეთილი იყო. ამას დაერთო ფრაზა: ნეტავ ბოლოს შვილები მენახაო. ოპერატორმა ქალი საუბარში შეიყოლია, თან შეეცადა, მისი ადგილსამყოფელი გაეგო - ამასაც სხვათაშორის არკვევდა, თითქოს სიტყვას მოჰქონდა, რადგან როცა ადამიანებს სუიციდი აქვთ ჩაფიქრებული, დახმარებაზე კატეგორიულ უარს ამბობენ. ადგილი დადგინდა და პარალელურ რეჟიმში ყველა სამაშველო სამსახური გაიგზავნა! მართლაც, აღმოჩნდა რომ ეს ქალბატონი უკვე მტკვრის პირას იყო და გადახტომას აპირებდა, როცა სამაშველომ მიუსწრო.

კიდევ უამრავი ამბის მოყოლა შეიძლება, მაგრამ დრო იწურება და ბოდიშს გიხდით, დარბაზში უნდა შევიდე. ვიცი, რომ თქვენს გაზეთს უამრავი ადამიანი კითხულობს და ამიტომ უდიდესი თხოვნა მაქვს - თამაშისა და გართობის მიზნით ხახს ნურავინ დააკავებს, რადგანაც, შესაძლოა, ამ დროს ის ვერ დაგვიკავშირდეს, ვისაც დახმარება ნამდვილად სჭირდება!

ესაუბრა

თამარ ოქრუაშვილი

03

„112"-ის თანამშრომლების ინტერვიუ გაზეთ „ჰვირის ჰალიტრაში"

ყველაზე მძიმე სუიციდის ზარებია...

...ხშირად გვირეკავენ ხანში შესული მოქალაქეები და გვეკითხებიან, გათენდა თუ დაღამდა, ან რომელი საათია... ზოგი მარტოა და უბრალოდ ლაპარაკი სურს...

ეს ადამიანები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და ძალიან ბევრი ტრაგედიის მოწმენი არიან. გასახსენებელიც ბევრი აქვთ, თუმცა ძალიან უჭირთ იმ ემოციების გადმოცემა, რომელიც თითოეული მოქალაქის ზარს მოაქვს. ჩვენი რესპონდენტები „112"-ის თანამშრომლები არიან.

„ბოლომდე მაინც ვერ თმობენ სიცოცხლეს..."

ირინა მესაბლიშვილი, ოპერატორი: - ძალიან რთული მოვალეობა გვაკისრია. გირეკავს ადამიანი, რომელიც განსაცდელშია და შენ წამებში უნდა დაეხმარო - მისამართი დაადგინო და მასთან დამხმარე ჯგუფი გაგზავნო. ეს თუ არ გამოცადე, ვერ მიხვდები, რას ნიშნავს „112"-ის ოპერატორობა...

ყველაზე მძიმე მაინც სუიციდის ზარებია... არ ვიცი, რატომ რეკავენ ისინი, ალბათ, სიცოცხლის დათმობა მაინც უჭირთ... უკანასკნელი ასეთი შემთხვევა ივნისში მოხდა და, საბედნიეროდ, კარგად დასრულდა: მობილური ტელეფონით დარეკა გოგონამ და მკითხა, ადამიანმა 100 აბი საძილე საშუალება რომ დალიოს, რა მოუვაო? შევშფოთდი. ვინმეს ხომ არ დაულევია-მეთქი, ვკითხე, არაფერი უთქვამს, ტელეფონი გათიშა. გულმა მიგრძნო, რომ ეს საეჭვო ზარი იყო. კიდევ დავურეკე და დალაპარაკება ვცადე - მისამართის გაგება მსურდა, მაგრამ არ მეუბნებოდა. ზოგჯერ, როცა სუიციდის განზრახვით რეკავენ, მისამართს გვეუბნებიან, მან კი ტელეფონი საერთოდ გამორთო. როგორც ჩანს, სიკვდილი არ ეწერა - მისი მისამართი დავადგინეთ და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და პოლიცია გავგზავნეთ. ექიმებს ახალგაზრდა ქალი უგონო მდგომარეობაშიო დახვდათ, მაგრამ მისი გადარჩენა შეძლეს.

ჩემმა კოლეგამაც გადაარჩინა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ხიდის მოაჯირზე იდგა და მტკვარში გადახტომას აპირებდა. წარმოიდგინეთ, ოპერატორს მხოლოდ ერთი წუთი აქვს, ამ უმცირეს დროში უნდა დაადგინოს აბონენტის მისამართი. თუმცა, როდესაც ასეთი ზარი შემოდის, ვცდილობთ დიდხანს ვესაუბროთ, ვინაობა და კოორდინატები გავარკვიოთ, რომ როგორმე მივუსწროთ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა: ოპერატორმა მამაკაცი საუბრით შეიყოლია და ვიდრე თავის მოკვლას გადაწყვეტდა, პოლიციამ და სამაშველო ბრიგადამ მიუსწრეს. ერთი კვირის შემდეგ იმ კაცმა დარეკა და ოპერატორს მადლობა გადაუხადა.

ბავშვები - ყველაზე საზრიანი „მაშველები"

რამდენიმე ბავშვის ამბავს მოგიყვებით, რომლებმაც შესაშური საზრიანობა გამოიჩინეს და ახლობლები სიკვდილისაგან იხსნეს. ძალიან გონიერი თაობა მოდის: მისამართსაც სწორად გვეუბნებიან და მაქსიმალურად გვეხმარებიან, ეს მაშინ, როცა უფროსებს

აფექტის მდგომარეობაში ხშირად საკუთარი მისამართი, მეტიც, ვინაობაც კი ავიწყდებათ... ასე გადაარჩინა 11 წლის დეა გელაძემ თავისი ბებია. დეა ბებიასთან ერთად შინ მარტო იყო, როდესაც მოხუცი ცუდად გახდა. გოგონამ დაგვირეკა და ვიდრე მათთან სასწრაფო დახმარების ბრიგადა მივიდოდა, ყველა რეკომენდაცია შეასრულა, რაც ოპერატორმა უკარნახა. ხანდაზმულ ქალს წამებში მიუსწრეს.

7 წლის ლექსო ბოჟაძემ კი, დედა იხსნა სიკვდილისგან: ბიჭმა დაგვირეკა და გვითხრა, რომ დედამ მოულოდნელად გონება დაკარგა. როგორც გაირკვა, ეს ბუნებრივი აირის გაჟონვის ბრალი იყო და ვინ იცის, იქ რა მოხდებოდა...

ამ ბავშვებს „112-ის გმირის" წოდება მიანიჭეს, ლექსომ კი, საერთაშორისო დაჯილდოების ცერემონიაზეც გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო მოქალაქე".

1967 წელს მოპარული მარჩენალი ძროხა

„112"-ში სახალისო ზარებიც შემოდის. იმ წუთებში კი ძალიან ვბრაზდებით, მაგრამ მერე გვეცინება. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი რეგიონიდან მირეკავს მამაკაცი და მიყვება, როგორ მოიპარეს მისი მარჩენალი ორი ძროხა. რა თქმა უნდა, მისამართი გამოვკითხე და სანამ პოლიციას გავგზავნიდი, ვკითხე, ეს ამბავი როდის მოხდა-მეთქი? 1967 წელსო, მიპასუხა.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი...

ოლიკო გვენეტაძე, ოპერატორი: - ძალიან ხშირია ოჯახური კონფლიქტის გამო შემოსული ზარები. ასეთ დროს, ძირითადად, მეზობლები რეკავენ, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი თავად ახერხებს დარეკვას.

ერთი ფაქტი უნდა გავიხსენო, რომელიც განსაკუთრებით დამამახსოვრდა: ქალმა დარეკა, ძლივს ლაპარაკობდა, ყურმილში კი, ბავშვების წივილ-კივილი, მამაკაცის ლანძღვა-გინებისა და ნივთების მტვრევის ხმა ისმოდა. შეშინებული ქალი მისამართსაც ვერ მეუბნებოდა. ვთხოვე, ტელეფონი ჩართული დაეტოვებინა და ჩხუბის დროს, ისე, რომ მეუღლე ვერ მიმხვდარიყო, როგორმე თავისი მისამართი ეთქვა. ასე გავარკვიეთ ამ ოჯახის ადგილმდებარეობა და სასწრაფოდ პოლიცია გავუშვით... რომ არ მივშველებოდით, ალბათ, ეს ინციდენტი ცუდად დამთავრდებოდა... მჭონია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პირიქით, ქალი ძალადობდა მამაკაცზე.

„ქალს დაჭრილი მამაკაცი გზაზე გადაუხტა..."

კიდევ ერთი ზარი მახსენდება: დარეკა ახალგაზრდა ქალმა - დაჭრილი მამაკაცი გზაზე გადმომიხტა და მთხოვა, მანქანაში ჩამსვიო. ქალს შესცოდებია უცნობი და სამედიცინო პუნქტამდე მისაყვანად მანქანაში ჩაუსვამს. აღმოჩნდა, რომ მამაკაცი ვიღაცებს უცემიათ და მანქანით უკან მისდევდნენ...

შეშინებული ქალი თან მანქანას მართავდა და თან ტირილით ცდილობდა, ადგილმდებარეობა აეხსნა... ვიდრე პოლიციელები იმ ადგილამდე მივიდოდნენ, ტელეფონით ვამშვიდებდი... საბედნიეროდ, ის ქალი ხიფათს გადაურჩა.

„112"-ის ექიმი იდგა ტუმბოზე და „ავადმყოფს" ფარდას უკიდებდა

სოფო ალექსიძე, „112"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი: - ჩვენთან დღე-ღამის განმავლობაში საშუალოდ 20 000 ზარი შემოდის და აქედან მხოლოდ ნახევარია გადაუდებელი

შემთხვევა. დანარჩენი ზარები არამიზნობრივია. ხშირად გვირეკავენ ხანში შესული მოქალაქეები და გვეკითხებიან, გათენდა თუ დაღამდა, ან რომელი საათიაო... ზოგი მარტოა და უბრალოდ ლაპარაკი სურს. ამბობენ, რომ წნევა აქვთ, ცუდად არიან, მიდიან ექიმები და არაფერი სჭირთ.

ამას წინათ მოქალაქემ დარეკა, მასთან ექიმები მივიდნენ და აღმოჩნდა, რომ ფარდის დაკიდება სურდა... სამახსოვრო სურათიც გადაიღეს: „112“-ის ბრიგადის ექიმი იდგა ტუმბოზე და „ავადმყოფს“ ფარდას უკიდებდა. ერთ-ერთს საკაბელო ტელევიზია გაეთიშა და გვირეკავდა, როგორმე დამაკვალიანეთო. ხშირად გვირეკავენ, რომ ფული არა აქვთ და ძალიან სჭირდებათ...

არსებობს მოქალაქეთა ჯგუფი, რომლებსაც „ქრონიკები“ დავარქვით, ისინი დღეღამეში 400-500-ჯერ რეკავენ ცენტრში. გვეუბნებიან, რომ ხანძარია, მეზობელი ცუდად არის ან ქუჩაში ჩხუბია... წინასწარ ვიცით, რომ ცრუ განგაშია, თუმცა არა გვაქვს უფლება, საგანგებო სამსახური არ გავუშვათ...

ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ როდესაც „112“-ში არამიზნობრივად ვრეკავთ, დაკავშირების შესაძლებლობას ვართმევთ იმას, ვისაც დახმარება მართლა სჭირდება და ყოველი წამი გადამწყვეტია. ამიტომ ყველას გთხოვთ, „112“-ზე მხოლოდ მაშინ დარეკეთ, როდესაც აუცილებელია.

ხათუნა ჩიგოგიძე

04

„112"-ის თანამშრომლები ევროპის პოლეჯში

College of Europe
Collège d'Europe

Brugge

Natolin

„112"-ის თანამშრომლებმა, გიორგი კიკვაძემ და ქრისტინე ბაბუნაშვილმა წარმატებით ჩააბარეს ევროპის კოლეჯის ელექტრონული გამოცდები და დამატებითი სასწავლო კურსის გასავლელად პოლონეთში გაემგზავრნენ.

კურსი 29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა. ტრენინგების/სემინარების ძირითადი პროფილი იურიდიული შინაარსის იყო. კურსი გამიზნულია, როგორც ევროპის კავშირის ზოგადი საკანონმდებლო სივრცის, ასევე ცალკეულ სახელმწიფოებთან (მათ შორის, საქართველოსთან) ასოციერების დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების უკეთ გასაცნობად.

ქ.ვარშავაში მდებარე ევროპის კოლეჯის ნატოლინის კამპუსმა განახორციელა ევროპის კავშირის აღმოსავლეთ და სამხრეთ სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტებით გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო პროგრამა, რომლის მეშვეობითაც, რეგისტრირებულ მომხმარებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ჩაებარებინათ ელექტრონული სასწავლო კურსის სხვადასხვა მოდული, ევროკავშირის სამართლის ცალკეულ მიმართულებებში, ხოლო წარმატებულ აპლიკანტებს მომწვევი მხარის მიერ დამატებით ეძლეოდათ შესაძლებლობა გამგზავრებულიყვნენ პოლონეთში, ქ, ლოძში და უშუალო მონაწილეობა მიეღოთ შესაბამის ტრენინგებში/სემინარებში.

აღსანიშნავია, რომ პირველადი ინფორმაცია სასწავლო კურსის და სარეგისტრაციო პროცედურების შესახებ „112"-ის თანამშრომლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციისგან მიიღეს.

05

„112"-ის პროგრამისტები დუბაიში ტრენინგს დაესწრნენ



2016 წლის 20-26 აგვისტოს, შსს სსიპ „112"-ის პროგრამისტები, გიორგი კივილაძე და ბექა კახელი მივლინებით დუბაიში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში იმყოფებოდნენ.

მივლინების ფარგლებში, Asterisk Advanced ტრენინგს დაესწრნენ. კურსი გრძელდებოდა 5 დღის განმავლობაში.

„კურსის მსვლელობისას ჩავუღრმავდით Asterisk სისტემის ისეთ შესაძლებლობებს, რომელთან შეხებაც არ მოგვიწევდა „112"-ის სისტემის ყოველდღიური ადმინისტრირებისას. ამ შესაძლებლობების ახლოს გაცნობამ იმდენად გააფართოვა ჩვენი პროფესიული თვალსაწიერი, რომ დარწმუნებული ვარ, მომავალში არა ერთხელ გამოვიყენებთ მიღებულ გამოცდილებას.

ტრენინგიდან მიღებული გამოცდილება იმითაც არის გამორჩეული, რომ სამომავლო გადაწყვეტილებების მიღებისას გავითვალისწინებთ ახლად გაცნობილ შესაძლებლობებსა და საერთაშორისო გამოცდილებას.

- აღნიშნეს ტრენინგის მონაწილეებმა.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგი იყო Digium-ის მიერ სერტიფიცირებული, ხოლო კომპანია DVCOMM TECHNOLOGY LLC, სადაც ტარდებოდა ტრენინგი აქტიურად არის ჩართული უახლესი ტექნოლოგიების დანერგვაში (ერთ-ერთი მიმდინარე პროექტი - საკომუნიკაციო სისტემის აწყობა დუბაის პოლიციისთვის).

ეს საინტერესოა...

06

სამხედრო ძაღლი კლინიკაში დაჭრილ ჯარისკაცს არ ტოვებს

ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა ფოტო, სადაც აღბეჭდილია დაჭრილი ჯარისკაცი, რომელიც კლინიკაში უგონო მდგომარეობაში წევს. საოცარი კი არის ის, რომ მას გვერდიდან არ შორდება გერმანული ნაგაზი, რომელიც საბრძოლო მოქმედებებში მასთან ერთად მონაწილეობდა.

როგორც ინტერნეტ პორტალი One Green Planet-ი წერს, სამხედროების არა ერთი მცდელობის მიუხედავად, ძაღლმა არ დატოვა პატრონი და კლინიკაში მეგობრის გამოჯანმრთელებამდე რჩება.

ეს ფოტო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძაღლები არიან ყველაზე ერთგული არსებები, რომლებისთვისაც პატრონი ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასია. იშვიათი შემთხვევა არ არის, როდესაც ძაღლს საკუთარი სიცოცხლის ფასად ადამიანები გადაურჩენია, მათ შორის ომში ბრძოლის დროსაც.

წყარო: www.zooclub.ge

07

მარტოხელა მოხუცი და თაღლითი მომვლელი

აშშ-ს ტენესის შტატში, 911-ში 79 წლის მოხუცმა დარეკა, რომელმაც განაცხადა, რომ ის მომვლელმა გაძარცვა, მისი საბანკო ანგარიშებიდან მთლიანი თანხა მოხსნა და ადამიანი, რომელსაც დახმარების გარეშე გადაადგილებაც კი არ შეეძლო, უპატრონოდ მიატოვა. თუმცა, მოხუცი ამას აღარ დარდობდა... როგორც აღმოჩნდა, ის ორი დღის განმავლობაში სრულიად მშიერი გახლდათ და თავს უკვე ძალიან ცუდად გრძნობდა.

- „ცუდად ვარ, შიმშილისგან გული მიმდის, თუ არ შეგაწუხებთ, შეგიძლიათ ცოტა-ოდენი საკვები მომაწოდოთ?“ - აკანკალებული ხმით უთხრა მოხუცმა 911-ის ოპერატორს. პოლიციის ადგილობრივი განყოფილების თანამშრომლები საოცრად შეძრა ამ ამბავმა, სასწრაფოდ შეაგროვეს გარკვეული თანხა და მოხუცს საკვები და პირველადი მოხმარების პროდუქტები მიუტანეს. თაღლითი მომვლელი კი მალევე დააკავეს და სასამართლომ საკადრისი განაჩენიც გამოუტანა.

მოხუცს ახალი მომვლელი მიუჩინეს, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას. პოლიციის ოფიცრები კი ხშირად სტუმრობენ ახლად შეძენილ „მეგობარს“ და მოწყენის საშუალებას აღარ აძლევენ მას.

08

პოლიციელი ძიძები :)

ნიდერლანდებში, გადაუდებელი დახმარების ნომერზე მცირეწლოვანმა ბავშვმა დარეკა, რომელსაც დედა ჰყავდა ცუდად. სასწრაფოზე ადრე, მისამართზე პოლიციის ეკიპაჟი მივიდა. პოლიციელებს ქალი უგონო მდგომარეობაში დახვდათ. ის სახლში მარტო იმყოფებოდა 5 მცირეწლოვან ბავშვთან ერთად. სასწრაფოს ბრიგადამ ახალგაზრდა დედა საავადმყოფოში გადაიყვანა, მას ჰიპოგლიკემიური კომა (სისხლში გლუკოზის დაბალი შემცველობა) აღენიშნებოდა.

ყველაზე საინტერესო კი ის ფაქტია, რომ პოლიციის ეკიპაჟის ორი წევრი ბავშვებთან დარჩა სახლში, რათა პატარებისთვის სადილი მოემზადებინათ და ნათესავების მოსვლამდე მარტო არ დაეტოვებინათ ისინი.

წყარო: www.ici.ge



09

„ლაქი" და გადარჩენილი გოგონა

ეს ისტორია იტალიის ერთ-ერთ სანაპიროზე მოხდა, სადაც ოფიციალურად ნებადართულია შინაური ცხოველის ხღვაში ბანაობა. ლაბრადორი „ლაქი" სანაპიროზე თავის პატრონთან ერთად ისვენებდა. 3 წლის ძაღლი, რომელსაც წყლის მაშველის კურსებიც აქვს გავლილი, ყველას მიმართ სითბოთი და სიყვარულით გამოირჩეოდა. „ლაქი" და ანა სანაპიროზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე იმყოფებოდნენ, სადაც ცხოველისთვის ცურვა ნებადართულია, თუმცა, როდესაც ცხოველი ერთ-ერთმა დამსვენებელმა დაინახა, ჩხუბი ატეხა და განაცხადა, რომ ძაღლები დაავადებების მატარებელნი არიან და ის და მისი 7 წლის შვილი არ ჩავიდოდნენ წყალში, სანამ „ბინძურ" ძაღლს იქაურობას არ მოაშორებდნენ.

ანამ ბოდიში მოიხადა და „ლაქი" დაუყოვნებლივ წყლიდან ამოიყვანა.

მალე ბავშვი, რომლის მშობელმაც ბევრი იჩხუბა ძაღლის გასაგდებად, წყალში ჩავიდა და გაცურა. უეცრად ის ტალღებმა დაფარა... დედა მეგობრებთან საუბრობდა და „ლაქის" გარდა, არავის შეუმჩნევია, როგორ იხრჩობოდა გოგონა. ერთგული ცხოველი დაუყოვნებლივ გადახტა წყალში, კბილები ჩაავლო ბავშვს და ნაპირზე გამოიყვანა.

საბედნიეროდ, გოგონა გადარჩა, ბავშვის დედამ კი სახალხოდ ბოდიში მოიხადა ანასა და „ლაქის" წინაშე და გულში ჩაიკრა გმირი ცხოველი, რომელმაც მისი შვილის სიცოცხლე იხსნა.

წყარო: www.thesun.co.uk

იცოდით, რომ...

10

პაწაწინა საგზაო ნიშნები ვილნიუსის ყველაზე პატარა მაცხოვრებლებისათვის

ვილნიუსში ცხოველების მოყვარულების ჯგუფმა სახალისო პროექტი განახორციელა. მათ სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებებით პაწაწინა საგზაო ნიშნები გააკეთეს.

ამ პროექტის მიზანი იყო, მოქალაქეებისთვის შეეხსენებინათ, რომ ქალაქში ადამიანების გარდა, სხვებიც ცხოვრობენ.

წყარო: www.zooclub.ge

11

რობოტი მაშველები

რობოტი-მაშველი ადაპტირებულია ექსტრემალურ გარემო-პირობებთან და აქვს საშუალება უპრობლემოდ იმუშაოს ისეთ ადგილებში, სადაც ძლიერი დაკვამლიანების გამო მეხანძრე-მაშველების ჯანმრთელობას შესაძლოა საფრთხე დაემუქროს.

რობოტს შეუძლია მინიმუმ ხუთ მეხანძრე-მაშველის ფუნქცია შეასრულოს ერთდროულად.

ეს რობოტი კი განკუთვნილია ტყის მასშტაბურ ხანძრებთან საბრძოლველად. მისი მექანიზმი და აღჭურვილობა იდეალურია ძნელად მისადგომ ადგილებში გავრცელებული ხანძრების ლოკალიზებისთვის. ის უამრავი ინსტრუმენტითაა აღჭურვილი, რომელიც ასეთი შემთხვევების დროს შესაძლოა მეხანძრე-მაშველებს დასჭირდეთ. საგანგებო სიტუაციებში რობოტი-მეხანძრე მაშველების შეუცვლელი დამხმარეა.



112

www.112.gov.ge